საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/16

ქ. ბათუმი **24 მარტი, 2023 წ**

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საქმიანობის 2022 წლის ანგარიშის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–10 მუხლის, ,,ბსუ-ს ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის N07-01/59 გადაწყვეტილების, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) სამსახურებრივი ბარათის (№228636, 27/02/2023), წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 24 მარტის N07-02/03 სხდომის ოქმისა და რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს წინამდებარე გადაწყვეტილების **N1 დანართის** სახით საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში** (მათ შორის ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში).
2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს და სტრუქტურულ ერთეულებს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საქმიანობის

2022 წლის ანგარიში

შესავალი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში - ,,ბსუ“ ან ,,უნივერსიტეტი“) თავის საქმიანობას წარმართავს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, რომლითაც განსაზღვრულია საქმიანობის ისეთი პრიორიტეტული მიმართულებები, როგორიცაა მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნებების აღზრდა; უნივერსიტეტის ძლიერ საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრად ჩამოყალიბება და ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში საკუთარი ადგილის დაკავება. უნივერსიტეტის საქმიანობამ, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიის ისეთი ფუნდამენტური პრინციპების ერთგულება, როგორიცაა ჰუმანიზმი, ღიაობა, ანგარიშვალდებულება, პიროვნული პოტენციალის სრულყოფილი რეალიზებისათვის ხელშეწყობა, ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული სამეცნიერო კვლევების, სწავლებისა და მართვის პროცესის დინამიკური განვითარება.

ბსუ-ს მისიით და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულების კუთხით, საბიუჯეტო პროცესს ერთ-ერთი ძირითადი როლი აკისრია. საბიუჯეტო პროცესი წარმოადგენს ბიუჯეტის მომზადების, დაგეგმვის, დამტკიცების, შესრულების და ანგარიშგების ერთიან პროცესს, ხოლო ბიუჯეტი არის მთავარი ფინანსური დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს იმ ძირითადი პროგრამების და ღონისძიებების დაფინანსებას, რასაც უნივერსიტეტი თავისი ფუნქციების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ახორციელებს კონკრეტული წლის განმავლობაში და წარმოადგენს უსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ფუნქციაა უნივერსიტეტის საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების ეფექტიანი მართვის საშუალებით. აღნიშნული ფუნქციის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია რესურსების ოპტიმალური განაწილება, კანონშესაბამისი საქმიანობის უზრუნველყოფა, რისკების შეფასება, შედეგების მონიტორინგი. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე. ამ მიზნით იგი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს, კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, კოორდინაციას უწევს ბიუჯეტის დაგეგმვას, შესრულებასა და ანგარიშგებას, დებს გარიგებებს და ა.შ. წარმატებული საერთო საუნივერსიტეტო საქმიანობა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ადმინისტრაციის გამართულ ფუნქციონირებასა და შედეგებზე ორიენტირებულ საქმიანობაზე. აღნიშნული პროცესის კოორდინირება კი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უმთავრესი ამოცანაა.

ბსუ-ს 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტი და სახელმწიფო შესყიდვების გეგმა

ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად აუცილებელია ფინანსური რესურსები, რომელთა შედეგზე ორიენტირებული ხარჯვა გარკვეულწილად დამოკიდებულია ორგანიზაციის ბიუჯეტის პროგრამული პრინციპით დაგეგმვაზე.

ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის N07-01/63 გადაწყვეტილებით. ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა განხორციელდა პროგრამული ბიუჯეტის პრინციპით, ბიუჯეტის დაგეგმარების პროცესში ჩართული იყო უნივერსიტეტის ყველა რგოლი, კერძოდ, ფაკულტეტები, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები (შემდეგში - კვლევითი ინსტიტუტები), პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდეგში - ცენტრი) და ბსუ-ს ადმინისტრაციის სხვა სტრუქტურული ერთეულები, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ წარმოედგინათ საბიუჯეტო განაცხადები, საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნულმა პროცესმა გამოკვეთა ისეთი მნიშვნელოვანი უპირატესობები, როგორიცაა:

- ღონისძიებათა დაგეგმვა პრიორიტეტულ ჭრილში;
- ღონისძიებების/ხარჯების განხორციელების პასუხისმგებლობის გადანაწილება ფაკულტეტებს, კვლევით ინსტიტუტებსა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს შორის;
- ხარჯების დაგეგმვა ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმასთან შესაბამისობაში;
- პროგრამების/ქვეპროგრამების დაგეგმვა დაფინანსების წყაროების მიხედვით;
- გამჭვირვალობის, ყოვლისმომცველობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების რეალიზება.

ყველა რგოლის მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადის ანალიზის, ურთიერთშეჯერების, კონსოლიდაციის, კლასიფიცირების საფუძველზე **გამოიკვეთა ოთხი ძირითადი პროგრამა:**

- ✓ ბსუ-ს ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მხარდაჭერა;
- ✓ უნივერსიტეტის მართვა და რეგულირება;
- ✓ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარება;
- ✓ ბსუ-ს სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა.

პროგრამა - „**ბსუ-ს ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მხარდაჭერა**“ შედგება 12 ქვეპროგრამისაგან, რომელშიც წარმოდგენილია ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ღონისძიებების (ხარჯების) ერთობლიობა ავტონომიურობის პრინციპის დაცვით. აღნიშნულ პროგრამაშია წარმოდგენილია ასევე შიდა საუნივერსიტეტო მიზნობრივი დაფინანსების ქვეპროგრამა. ფაკულტეტების ჭრილში ქვეპროგრამების

დაგეგმვა და განხორციელება პირდაპირ კავშირშია ავტორიზაცია/აკრედიტაციის მოთხოვნებთან. ამასთან, ფაკულტეტი უშუალოდ ხდება ქვეპროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი, რამდენადაც განსახორციელებელი ღონისძიებები და გასაწევი ხარჯი დაგეგმილია მისი ინიციატივით და მოსალოდნელი შედეგების მიღწევაში მას ხელს ადმინისტრაციული ბარიერები არ შეუშლის.

პროგრამა - **„უნივერსიტეტის მართვა და რეგულირება“** წარმოდგენილია ორი ქვეპროგრამით: საუნივერსიტეტო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მხარდაჭერა. ადმინისტრაციული მხარდაჭერის ქვეპროგრამაში გაერთიანებულია ის გარდაუვალი ღონისძიებები, რომელთა განხორციელება საერთო საუნივერსიტეტო საჭიროებებთანაა დაკავშირებული. მეორე ქვეპროგრამაში კი, უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფაზე მიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობაა წარმოდგენილი, რაც სრულ წარმოდგენას აძლევს ბიუჯეტის მომხმარებელს ამ მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებსა და მისაღწევ შედეგებზე.

პროგრამა - **„უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარება“** მოიცავს ორ ქვეპროგრამას: IT ტექნოლოგიების განვითარებას და მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მიმდინარე/კაპიტალური სარემონტო სამუშაოების/მშენებლობების უზრუნველყოფას. პირველ ქვეპროგრამაში წარმოდგენილია ბსუ-ს კომპიუტერული ბაზის განახლებასთან და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებული კონკრეტული ღონისძიებები, ხოლო მეორე ქვეპროგრამა მოიცავს ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის გაუმჯობესებასთან უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს.

პროგრამა - **„ბსუ-ს სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა“** ითვალისწინებს სხვადასხვა სტუდენტური აქტივობების დაფინანსებას, სადაც ღონისძიებები წარმოდგენილია ორი ქვეპროგრამის სახით: საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობების მხარდაჭერა და კულტურული და სპორტული აქტივობების მხარდაჭერა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქვეპროგრამებში დაგეგმილ დეტალურ ხარჯებს/ღონისძიებებს განსაზღვრული აქვთ მოსალოდნელი შედეგები და მათი გაზომვის თვალსაჩინო კრიტერიუმები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან.

პროგრამული წესით შედგენილი ბიუჯეტის განხილვა/დამტკიცების პროცესში გამოიკვეთა ისეთი <u>მნიშვნელოვანი უპირატესობები, როგორიცაა:</u>

- გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის თვალსაჩინო გახდა პროგრამული პრიორიტეტები და ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ხარჯების მოსალოდნელი შედეგები;
- არჩევანი გაკეთდა მკაფიოდ განსაზღვრული მოლოდინებით;
- ხელმისაწვდომი გახდა დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

პროგრამული ბიუჯეტის შესრულების პროცესში ასევე <u>გამოიკვეთა შემდეგი უპირატესობები:</u>

- კონკრეტული ღონისძიების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ეფუძნება შესაბამის ობიექტურ გარემოებებს;

- განხორციელდება პროგრამებს შორის არსებული მსგავსი შესყიდვების კონსოლიდაცია ეკონომიურობისა და დროულობის პრინციპების გათვალისწინებით;
- სტრუქტურული ერთეულების მიერ დაგეგმილი ღონისძიებები შეუფერხებლად განხორციელდება ბიუროკრატიული წინააღმდეგობების, რისკების მინიმიზაციის საფუძველზე;
- განხორციელდება შესყიდვებით წარმოქმნილი ეკონომიების ეფექტიანი მართვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებს შორის;
- წლის განმავლობაში წარმოქმნილ მიმდინარე საჭიროებებზე მოხდება დროული რეაგირება.

ანგარიშგების ეტაპზე, პროგრამული ბიუჯეტის უპირატესობებს შორის იკვეთება შემდეგი:

- ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში წარმოადგენს არა ხარჯების გაწევის შესახებ საკასო შესრულების მაჩვენებლებს, არამედ მიღწეული შედეგის შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას;
- ანგარიშგების მომხმარებელს ეძლევა საშუალება დაგეგმილი და მოსალოდნელი შედეგები შეადაროს ფაქტობრივად მიღწეულს;
- განისაზღვრება გაწეული ხარჯების შედეგიანობა არამხოლოდ რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ ჭრილში;
- დაცულია ანგარიშვალდებულების პრინციპი.

ბსუ-ს ბიუჯეტის პროგრამულად **დაგეგმვამ** უზრუ**ნველყო** ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტში 2022 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე შევიდა ცვლილებები ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებებით და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებებით: 2022 წლის 21 იანვრის N01-10/05, 21.01.22 წ; N01-10/14, 23.02.22 წ.; N01-10/34, 05.04.22 წ.; N01-10/54, 03.06.22წ.; N01-10/73, 08.07.22 წ.; N01-10/93, 06.09.22წ.; N01-10/107, 23.09.22 წ.; N01-10/117, 28.10.22წ.; N01-10/161, 16.12.22წ; ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 23 დეკემბრის N07-01/56 გადაწყვეტილებით; ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 30 დეკემბრის N01-10/176 ბრძანებით).

პროგრამულად დაგეგმილი ბიუჯეტის საფუძველზე განხორციელდა **ბსუ-ს 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის** შედგენა, რომლის ფარგლებშიც მოხდა ყველა პროგრამითა და ქვეპროგრამით დაგეგმილი ხარჯების/ღონისძიებების კონსოლიდაცია. შესყიდვის საშუალებები დაჯგუფდა დაფინანსების ოთხი წყაროს (საკუთარი შემოსავლები, აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტი, საკუთარი ბიუჯეტი და გრანტები) მიხედვით, რაც შესყიდვების გეგმაზომიერ და მოქნილ განხორციელებას უზრუნველყოფს. **ბსუ-ს 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა** ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 21 იანვრის N01-10/06 ბრძანებით (ამავე ბრძანებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2021 წლის 17 ნოემბრის N01-10/96 ბრძანება). ბსუ-ს 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა 2022 წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის N01-10/15; N01-10/21; N01-10/35; N01-10/44; N01-10/55; N01-10/74; N01-10/80; N01-10/94; N01-10/108; N01-10/116; N01-10/118; N01-10/142; N01-10/148; N01-10/159; N01-10/163; N01-10/175, 30.12.22 წ). **ბსუ-ს 2022 წლის**

სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ცვლილებები განპირობებული იყო ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებებით.

ბსუ-ს 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტი, დაფინანსების წყაროებისა და პროგრამების/ქვეპროგრამების ჯამური თანხის გათვალისწინებით შეადგენდა - 29 218 209 ლარს, ხოლო სახელმწიფო შესყიდვების წლიური (2022 წელი) გეგმა - 7 690 276 ლარს.

2022 წელს განხორციელებული მატერიალურ-ტექნიკური, ინფრასტრუქტურული და სხვა სახის ღონისძიებები

ბსუ-ს 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი **ინფრასტრუქტურული, კაპიტალური და IT ტექნოლოგიების განვითარების ღონისძიებები,** რომელთაგან აღსანიშნავია:

- ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის შენობის სახურავის აღდგენისა და შიდა სარემონტო სამუშაოების უზრუნველყოფა;
- პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით უზრუნველყოფა, რომელიც იმავდროულად უზრუნველყოფს სრული ტერიტორიისა და მიმდებარე შენობებისთვის ხანძარ საწინააღმდეგო მოთხოვნებს;
- ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის შენობის სახურავისა და შიდა დაზიანებების სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველყოფა;
- ბსუ-ს შენობების ვიდეო-სათვალთვალო სისტემით უზრუნველყოფა სრულყოფილად;
- ბსუ-ს კორპუსების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ბსუ-ს შენობის, ქ. ბათუმში, რუსთაველი/ნინოშვილის ქ. №32/35-ში მდებარე ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები (სამუშაოები მიმდინარეობს მიმდინარე ეტაპზეც);
- კომპიუტერული ტექნიკის შეძენა და არსებულის სრულად განახლება, კერძოდ, შესყიდული იქნა მაგიდის კომპიუტერი (დესკტოპები) - 85 კომპლექტი, პორტაბელური კომპიუტერი (ლეპტოპები) - 85 ცალი;
- დოკუმენტ-ფოტოსკანერების, ჭკვიანი დაფების, პრინტერებისა და პროექტორების შეძენა;
- სასერვერო სივრცის მოწყობის მიზნით, IT მოწყობილობების შეძენა;
- ჰიბრიდული (კომბინირებული) საკონფერენციო სისტემის შესყიდვა, რომელიც გულისხმობს კონფერენციის ჩატარების შესაძლებლობას დარბაზში დასწრებით და პარალელურად ონლაინ რეჟიმში.
- საოფისე ავეჯის შესყიდვა;
- კონდიციონერების შესყიდვა;
- სატრანსპორტო საშუალების, საქალაქთაშორისო ავტობუსის შესყიდვა და სხვა.

პროგრამული ბიუჯეტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ასევე, უზრუნველყოფილიყო უნივერსიტეტის შემდეგი მნიშვნელოვანი საჭიროებები:

- <u>ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის</u> 25 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება;
- <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის</u> ლაბორატორიებისათვის აღჭურვილობის, რეაქტივების, მიკროსკოპებისა და სხვა ხელსაწყოებისა თუ დანადგარების, სასწავლო მასალისა და მულაჟების შეძენა;
- <u>ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის</u> WEB Lab და რობოტოტექნიკის, ასევე ფიზიკის დეპარტამენტის ლაბორატორიებისთვის აღჭურვილობების (ტელესკოპის, არდუინოს კრებული, მოდულები, ინტელექტუალური ბარათები, როუტერები, ქსელური დაფები, ელექტრული წრედები და სხვა) შეძენა;

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სინქრონული თარგმანის ლაბორატორიისთვის მთარგმნელობითი პროგრამის SDL Trados Studio შეძენა, ამავე ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დარგობრივი დეპარტამენტის ინიცირებით ელექტრონული საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნეს“ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ასახვის დაფინანსება;

- ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხატვის და არქიტექტურის სტუდიების, ტელეკომუნიკაციის, შრომის უსაფრთხოების და სასწავლო ლაბორატორიებისთვის შესაბამისი აღჭურვილობების შეძენა, მათ შორის საშენი მასალების, სამშენებლო კონსტრუქციებისა და ფუძე-საძირკველების ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვა;

- აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტისთვის ლაბორატორიული აღჭურვილობის, რეაქტივების, მასალების, ასევე, სასუქისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შეძენა;

- ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტისთვის ლაბორატორიული აღჭურვილობის, რეაქტივების, მასალების, სპეციალური დანიშნულების დანადგარების შეძენა, ექსპედიციების დაფინანსება, ასევე, შეძენილი იქნა სათბური;

- ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის ექსპედიციების დაფინანსება მომზადებული შრომების კრებულის გამოცემის დაფინანსება, სამეცნიერო ლიტერატურის შეძენა;

- პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელდა მატერიალური და ტექნიკური მხარდაჭერა. აღსანიშნავია საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსების ფარგლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი შესყიდვებიც (ხელსაწყოები, კომპიუტერული ქსელის და სისტემების, ელექტროობის და ინტეგრირებული პროგრამების რესურსები და სხვა);

- ბსუ-ს სტუდენტთა სპორტული და შემოქმედებითი ჯგუფების ღონისძიებების, ასევე, საგანმანათლებლო და შემეცნებითი აქტივობების დაფინანსება;

- ორგანიზებულად წარიმართა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის, ტურიზმის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტთა სასწავლო-საველე პრაქტიკა;

- შეძენილი იქნა ყველა ფაკულტეტის მიერ მოთხოვნილი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა;

- განხორციელდა კურსდამთავრებულთა გაცილების ღონისძიებასთან დაკავშირებული ყველა საჭიროებით უზრუნველყოფა, განხორციელდა პერსონალის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოების გამოცემის დაფინანსება და სხვა.

- დამტკიცდა ,,ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესი“ (20.04.2022 წ. N07-01/21 გადაწყვეტილება), რომელიც ითვალისწინებს პერსონალის პროფესიული განვითარების

ღონისძიებების რეგულაციას, მათ შორის კონკურსის წესით ბსუ-ს იმ აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალის შერჩევას, რომლებიც მონაწილეობას მიიღებს უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში. აღნიშნული წესის 2022 წლის რედაქციამ სამართლებრივ საფუძველი შექმნა გასულ წელს გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიისათვის ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წახალისებისათვის, აღნიშნულიდან გამომდინარე 2022 წელს წახალისებული იქნა (გაიცა ფულადი ჯილდო) ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალი 2021 წელს გამოქვეყნებული სტატიებისათვის;

- დაფინანსდა პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებები (ყველა მოთხოვნა კვალიფიკაციის ამაღლების/ტრენინგების გავლის/კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ), როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში;

- 2022 წელს სრულად განხორციელდა (აკად. საბჭოს დადგენილება N06-01/05, 02.02.2022 წ) 2020 წელს შეჩერებული (პანდემიის გამო) მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (საერთო საკასო ხარჯი - 128 415, 65 ლარი);

- **2022 წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასურში შეღავათის განხორციელების მიზნით** (100/70/35 %-ის ოდენობით) კონკურსი გამოცხადდა **ბრძანება N01-10/115, 20.10.2022წ.). და განხორციელდა** ,,ბსუ-ში სასწავლო სოციალური პროგრამა „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ **(სულ 15 075 ლარის ფარგლებში)** განახლებული რედაქციით დამტკიცებული ,,ბსუ-ში სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესი“-ს საფუძველზე **(20.04.2022 წ. N07-01/23 გადაწყვეტილება).** აღნიშნული წესი ითვალისწინებს ჩატარებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, ბსუ-ში სწავლის სემესტრულ საფასურში (მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ფარგლებში) სრული ან ნაწილობრივი შეღავათის მინიჭებას სხვადასხვა **სოციალური კატეგორიის მქონე პირებისათვის** (ა) სტუდენტი, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანი ან მათი შვილი ან/და არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილის შვილი; <u>ბ) სტუდენტი, რომელიც არის მარტოხელა მშობელი ა</u>ნ თავად არის ან იყო მარტოხელა მშობლის შვილი; გ) სტუდენტი, რომელიც რეგისტრირებულია <u>სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა</u> ერთიან ბაზაში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000-ზე; დ) სტუდენტი, რომელიც იმყოფება ან ბოლო 3 წლის განმავლობაში იმყოფებოდა სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ (სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელთან, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და დაფინანსების წყაროსი)/მინდობით აღზრდაში; ე) სტუდენტი, რომელიც არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრი; ვ) სტუდენტი, რომელსაც მინიჭებული აქვს იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის სტატუსი; ზ) სტუდენტი, რომელსაც მინიჭებული აქვს ეკომიგრანტის (სტიქიით დაზარალებული) სტატუსი);

- ბსუ-ს სწავლის საფასურის გადახდის წესის შესაბამისად **2022 წლის განმავლობაში სწავლის საფასურში შეღავათი მიენიჭა** 67 სტუდენტს, მათ შორის: შეზღუდული

ქმედუნარიანობის მქონე პირებს, დედ-მამით ობლებს, სამხედრო პირის ოჯახის წევრებს, უკრაინის მოქალაქეებს, თანხის ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 71131,45 ლარი.

ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტის შესრულება

როგორც უკვე აღინიშნა, ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია პროგრამული ბიუჯეტის პრინციპით, რომელიც პროგრამებისა და ქვეპროგრამების ჭრილში მოიცავს განსახორციელებელი ღონისძიებების/ხარჯების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, თითოეული ღონისძიების ფარგლებში განსაზღვრულია ხარჯის მოსალოდნელი შედეგი და შესაბამისი ინდიკატორი, რომელიც გაწეული ხარჯის ეფექტიანობის შეფასების საშუალებას იძლევა.

2022 წლის ბიუჯეტის ფარგლებში შემოსავლები, წინა წლის ნაშთის გათვალისწინებით, შეადგენს - 29 218 209 ლარს, **ფაქტიურად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა - 26 593 248,98 ლარი.** ამავე ბიუჯეტის ფარგლებში ჯამურად დაგეგმილი იყო - 29 218 209 ლარის ხარჯვა, **საკასო ხარჯმა კი შეადგინა - 23 956 387,88 ლარი,** შესაბამისად, გეგმის შესრულების მაჩვენებელი შეადგენს - **81,99 %-ს.**

2022 წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია თანდართული ცხრილების (ცხრილი №1, №2) სახით. 2022 წლის საკასო ხარჯები მოცემულია ბიუჯეტის პროგრამების და ქვეპროგრამების ჭრილში, ხოლო ღონისძიებების/ხარჯების ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯები დეტალურად ასახულია დანართში - ,,ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტის საკასო შესრულება“.

ცხრილი №1

ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლები

ბსუ-ს შემოსავლები 2022 წელი (ლარი)		**26 593 248,98**
№	მათ შორის:	
1	უმაღლეს საგან-ლო პროგრამებზე სწავლის საფასური	21 099 105,19
2	მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებზე/კურსებზე სწავლის საფასური	80 849,93
3	<u>სხვა შემოსავლები:</u> ლაბორატორიული კვლევები, საერთო საცხოვრებლის ქირა, ქსეროქსით მომსახურება, სწავლის საფასურის დავალიანების დაფარვის შედეგად (დიპლომების გატანა და სხვა).	542 323,08
4	ბსუ-ს ანაბრის სარგებელი (საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებზე პროცენტის დარიცხვა)	1 178 280,84
5	შემოსავლები მოკლევადიანი და გრძელვადიანი იჯარებიდან	18 174,80
6	შემოსავალი ხელშეკრულებების ფარგლებში დარიცხული პირგასამტეხლოდან	5388,09
7	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	448 320,62
8	უცხოური მიზნობრივი გრანტები	1 134 035,69
9	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დაფინანსება	1 685 745,74
10	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება	20 425
11	ფეხბურთის განვითარების ფონდი	50 000
12	სახელმწიფო სტიპენდია	330 600

ცხრილი №2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი და მისი შესრულება (საკასო ხარჯები)

შემოსავლები წინა წლის ნაშთის გათვალისწინებით (გეგმა)	29 218 209	საკასო ხარჯი სულ	23 956 387,88
ხარჯები (გეგმა)	29 218 209	საკასო შესრულების პროცენტული მაჩვენებელი	81,99 %

მათ შორის:

პროგრამის დასახელება	თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით				სულ თანხა	საკასო ხარჯი - 01.01.2022-31.12.2022				სულ თანხა
„ბსუ-ს ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მხარდაჭერა“	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმ წიფო ბიუჯეტ ი	გრანტებ ი		საკუთარი შემოსავლებ ი	აჭარის არ რესპუბლიკუ რი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	
ქვეპროგრამა - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	1 198 858	0	0	0	1 198 858	1 126 832,62	0,00	0,00	0,00	1 126 832,62
ქვეპროგრამა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	3 798 065	5 200	0	125 856	3 929 121	3 360 877,17	5 200,00	0,00	8 798,02	3 374 875,19
ქვეპროგრამა - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	2 468 918	54 488	0	639 380	3 162 786	2 284 554,63	51 324,39	0,00	451 503,83	2 787 382,85
ქვეპროგრამა - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	1 811 210	49 545	0	897 225	2 757 980	1 655 378,03	45 556,39	0,00	449 065,05	2 149 999,47
ქვეპროგრამა - იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	1 170 424	0	0	247 737	1 418 161	1 073 267,93	0,00	0,00	87 685,30	1 160 953,23
ქვეპროგრამა - ტურიზმის ფაკულტეტი	592 932	0	0	0	592 932	502 796	0,00	0,00	0,00	502 796,36
ქვეპროგრამა - ტექნოლოგიური ფაკულტეტი	1 244 665	0	0	107 100	1 351 765	1 209 491,50	0,00	0,00	18 829,00	1 228 320,50

ქვეპროგრამა - ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი	346 540	321 000	28 500	63 150	759 190	266 883,48	321 000,00	28 500,00	46 327,84	662 711,32
ქვეპროგრამა - ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი	280 170	367 100	28 500	0	675 770	229 786,77	367 080,00	28 500,00	0,00	625 366,77
ქვეპროგრამა - ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი	172 220	331 295	31 550	118 367	653 432	138 001,84	329 966,08	31 550,00	57 889,03	557 406,95
ქვეპროგრამა - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი	418 735	0	146 460	317 956	883 151	329 880,42	0,00	111 475,00	261 565,00	702 920,42
ქვეპროგრამა - შიდა საუნივერსიტეტო მიზნობრივი დაფინანსება	180 155	0	0	0	180 155	128 415,65	0,00	0,00	0,00	128 415,65
სულ	13 682 892	1 128 628	235 010	2 516 771	17 563 301	12 306 166,40	1 120 126,86	200 025,00	1 381 663,07	15 007 981,33

პროგრამის დასახელება	თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით				სულ თანხა	საკასო ხარჯი - 01.01.2022-31.12.2022				სულ თანხა
„უნივერსიტეტის მართვა და რეგულირება“	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლ იკური ბიუჯეტი	სახელმ წიფო ბიუჯე ტი	გრანტებ ი		საკუთარი შემოსავლებ ი	აჭარის არ რესპუბლიკუ რი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	
ქვეპროგრამა - უნივერსიტეტის საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	5 511 398	10 000	15 500	0	5 536 898	5 417 127	10 000	15 377	0	5 442 504
ქვეპროგრამა - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მხარდაჭერა	596 260	0	0	352 724	948 984	310 188	0	0	149 397	459 585
სულ	6 107 658	10 000	15 500	352 724	6 485 882	5 727 315,00	10 000,00	15 377,00	149 397,04	5 902 089,04

პროგრამის დასახელება	თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით				სულ თანხა	საკასო ხარჯი - 01.01.2022-31.12.2022				სულ თანხა
„უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარება“	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლ იკური ბიუჯეტი	სახელმ წიფო ბიუჯე ტი	გრანტებ ი		საკუთარი შემოსავლებ ი	აჭარის არ რესპუბლიკუ რი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	
ქვეპროგრამა - IT ტექნოლოგიების განვითარება	421 895	0	1 875	268 416	692 186	378 600	0	1 875	146 334	526 809

ქვეპროგრამა - მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მიმდინარე/კაპიტალური სარემონტო სამუშაოების/მშენებლობების უზრუნველყოფა	1 862 790	1 750 000	0	0	3 612 790	1 239 865	518 953	0	0	1 758 818
სულ	2 284 685	1 750 000	1 875	268 416	4 304 976	1 618 465,49	518 952,88	1 875,00	146 333,52	2 285 626,89

პროგრამის დასახელება	თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით				სულ თანხა	საკასო ხარჯი - 01.01.2022-31.12.2022				სულ თანხა
„ბსუ-ს სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა“	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლ იკური ბიუჯეტი	სახელმ წიფო ბიუჯე ტი	გრანტებ ი		საკუთარი შემოსავლებ ი	აჭარის არ რესპუბლიკუ რი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	
ქვეპროგრამა - საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობების მხარდაჭერა	153 250	110 700	330 600	30 200	624 750	121 595	100 165	330 600	0	552 360
ქვეპროგრამა - კულტურული და სპორტული აქტივობების მხარდაჭერა	189 300	0	0	50 000	239 300	158 729	0	0	49 602	208 331
სულ	342 550	110 700	330 600	80 200	864 050	280 324,08	100 165,00	330 600,00	49 601,54	760 690,62

	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლ იკური ბიუჯეტი	სახელმ წიფო ბიუჯე ტი	გრანტებ ი	*სულ - გეგმა*	საკუთარი შემოსავლებ ი	აჭარის არ რესპუბლიკუ რი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	*სულ - საკასო შესრულება*
სულ პროგრამების ჯამური ხარჯი გეგმა/საკასო	22 417 785	2 999 328	582 985	3 218 111	29 218 209	19 932 270,97	1 749 244,74	547 877,00	1 726 995,17	23 956 387,88

** **შენიშვნა:** ინფორმაცია საკასო ხარჯების შესახებ მოცემულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (სახაზინო ამონაწერი - 05.01.2023)*